

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 017/20¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

მეგი მურღულია (სტუდენტი)

შეკითხვა

ადვოკატმა, როგორც ორგანიზაციის იურისტმა ზეპირი კონსულტაცია გაუწია ორგანიზაციის ბენეფიციარს სისხლის სამართლის საქმეზე. ორგანიზაციის მეორე ბენეფიციარს წარმოადგენდა ამავე სისხლის სამართლის საქმეში არსებული პირი, რომელიც მოწმის სტატუსით სარგებლობდა და ორგანიზაციის დავალებით მომსახურება უნდა გაეწია ზემოაღნიშნულ ადვოკატს. მოწმის ინტერესები „პირველი ბენეფიციარის“ ინტერესების საწინააღმდეგოა. ადვოკატს აინტერესებდა, აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატის, როგორც კომპანიის იურისტის მიერ ორგანიზაციის დავალების, მოწმისთვის მომსახურების გაწევით, დაცული იქნება თუ არა პროფესიული ეთიკა?

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1). კომისიის მითითებით, ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან (აპეკ-ი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 6.2(ბ)).

იურისტი, რომელიც არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი და შესაძლოა დასაქმებული იყოს რომელიმე ორგანიზაციაში, მასზე ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი ნორმები. ორგანიზაციაში მომუშავე იურისტი პირველი ბენეფიციარისთვის იურიდიული რჩევის გაცემისას მოქმედებდა, როგორც ადვოკატი. შესაბამისად, მისგან საქმესთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია ადვოკატს უნდა დაეცვა პროფესიული საიდუმლოებით და არ შეექმნა საფრთხე მის საწინააღმდეგოდ გამოყენებინა იგი. „მეორე ბენეფიციარის“ ინტერესები უპირისპირდება პირველი კლიენტის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატს წარმოეშვა კონფიდენციალობისა და კონფლიქტის თავიდან არიდების ეთიკური ვალდებულება. ეთიკის კომისიამ დაადგინა ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, როდესაც არ შეუძლია ერთგულად დაიცვას კლიენტის ინტერესები. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, მიზნად ისახავს, საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, დაამკვიდროს ქცევის შესაბამისი სტანდარტები.

დასკვნა

მოცემულ შემთხვევაში, ორგანიზაციის ადვოკატი საადვოკატო მომსახურების მიღების მსურველ პირთან, თავდაპირველ ბენეფიციართან, გასაუბრებისას იღებს კონფიდენციალურ ინფორმაციას. აღნიშნული ეტაპიდანვე, ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული ვალდებულება - დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია და თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისად, ამავე საქმეზე მოწინააღმდეგე მხარის მოწმისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევა საფრთხეს უქმნის პირველი კლიენტისგან მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მიერ მოწმისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევა დაარღვევს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.1 მუხლს და ეთიკის კოდექსის 6.2(ბ) მუხლს.

¹ <https://www.gba.ge/pdf/60ab468602b96.pdf/017.20%20gacemis%20tarigi%2024.06.2020.pdf> .